<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 6-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 8-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 10-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1290 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1130 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 910 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 690 ლარი.

3.წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.